პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ნოემბერი კვირა 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 262 (14866)

დიდი ზეიმით აღნიშნა საბჭოთა ქვეყანამ ოქტომბრის 53-ე წლისთავი. ჩვენმა ხალხმა დიად დღესასწაულზე ერთხელ კიდევ ცხადყო ერთსულოვანი დარაზმულობა და მტკიცე გადაწყვეტილება მთელი ძალები მოახმაროს კომუნიზმის დიადი იდეების გამარჯვებას.



მოსკოვი. 1970 წლის 7 ნოემბერი. წითელი მოედანი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავის დღესასწაული. სურათზე: ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკდესი. (სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს

საქმხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

7 ნოემბრის დილაა. მთელ პლანეტას კრემლის კურანტებისათვის მიუპყრია ყური. საბჭოთა ქვეყნის მთავარ მოედანზე დიადი დღესასწაულის გარიჟრაჟია. „1917-1970“ — ელვარებს სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის ფასადზე. მაღალ ანძებზე ფრიალებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ალმები. კრემლის ბაღარა კედელს აშშვენებენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო გერბი და მოკავშირე რესპუბლიკების თხუთმეტი გერბი, რომლებიც საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას განასახიერებენ.

პორტრეტიდან იცქირება ვლადიმერ ილიას-ძე. „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ წარწერილია მონუმენტურ პანაზე რევოლუციის ბელადის პორტრეტის გვერდით. „ავრორას“ ფონზე მოჩანან იარაღმამარჯვებული წითელგვარდიელები. ისინი წინ მიისწრაფვიან, მომავლისაკენ, მათი ხვალინდელი დღე ჩვენი დღევანდელი დღეა. ოქტომბრის დამცველთა რევოლუციური მეზნებრობა განმტკიცებულია თაობათა გმირული საქმეებით. დღევანდელობის მიღწევებს, აღმშენებლობის დიად გეგმებს გამოხატავს მონუმენტური პანო „კომუნიზმი გაიმარჯვებს“.

53-ე ოქტომბრის მაკიფი ნიშანი: „ჩვენი დამკვრელური შრომა — ყრილობას!“ — წარწერილია ისტორიული მუზეუმის პანაზე. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშავი შრომითი ვახტის გაგრძელებაა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

კარგი, ხალისიანი განწყობილებით მოვიდნენ წითელ მოედანზე მოსკოველები, დედაქალაქის მრავალრიცხოვანი სტუმრები.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. კოსიგინი, ა. ნ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ფ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ფ. ფ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. პაპანოვი, ა. ფ. კატუშევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი. მათ გულთბილად, მეუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ მოედანზე შეკრებილნი.

მავზოლეუმის მარჯვენა ფრთაზე არიან საბჭოთა კავშირის მარშლები, ჯარების გვარეობათა მარშლები, საბჭოთა არმიისა და საზღვაო-საზღვაო ფლოტის გენერლები და ადმირალები.

მაცხოვრის კოშკის საათის ისარი ათს უახლოვდება. ნოემბრის თოვლის მსუბუქი ფანტელები ეფინება არემარეს. მწყობრში გარინდულან პარადის მონაწილენი.

ამხანაგ ა. ა. გრეჩკოს სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

ჩვენო პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელითა და დავალებით მოგესალმებით და მოგიოლოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეცამეტე წლისთავს.

მაღალი პატრიოტული სიამაყის გრძნობით ხვდებიან საბჭოთა ადამიანები მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაბადების დღეს. ოქტომბრის ახლანდელი დღესასწაული ღირსშესანიშნავია იმით, რომ იგი აღინიშნება ლენინის იუბილეს წელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის წინ. საბჭოთა ადამიანები ახლა განსაკუთრებული აღმავლობითა და შთაგონებით შრომობენ. მთელ ქვეყანაში გაიშალა მძლავრი სოციალისტური შეჯიბრება წლიური და ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, პარტიის ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა მიაღწია ახალ მიჯნებს სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, შრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი ვაგონი გამარჯვება იყო „ლუნა-16“ კოსმოსური სადგურის წარმატებითი ფრენა.

საბჭოთა ხალხის მხარდამხარ მტკიცედ, მიდიან ახალი ცხოვრების შექმნის გზით მომე სოციალისტური ქვეყნების მშრომელნი. განუხრელად მტკიცდება მათი საბრძოლო კავშირურთიერთობა, ღრმავდება ყოველმხრივი თანაშრომლობა სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

კიდევ უფრო მჭიდრო გახდა საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური მეგობრობა მთელ რევოლუციურ, განმათავისუფლებელ და ანტიიმპერიალისტურ ძალებთან. საბჭოთა კავშირი ყოველნაირად ეხმარება და მხარს უჭერს ვიეტნამის გმირულ ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის ინტერვენციის წინააღმდეგ, არაბთა სამართლიან ბრძოლას ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამას წინათ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებულ ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება ქმნის წანამძღვრებს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ჩვენი ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. დღემდე ამას ეწინააღმდეგებოდნენ და ახლაც სურთ ხელს უშლიდნენ რევანშისა და მილიტარიზმის ძალები, რომლებიც, მუხედავად ისტორიის გაკვეთილებისა, კვლავ ცდილობენ გადაკეთონ ევროპის რუკა.

საბჭოთა ადამიანებმა, ყველამ, ვინც დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებით, კმაყოფილებით აღიქვეს შედეგები საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ამასწინანდელი ვიზიტისა სსრ კავშირში.

თანმიმდევრულად ახორციელებს რა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი ფხიზლად აღიგვიზებს თვალყურს საერთაშორისო იმპერიალიზმის ხრიკებს. ჩვენ არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ, რომ აგრესიული იმპერიალისტური ძალები განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, აძლიერებენ სამხედრო ბლოკებს, აფართოებენ ბრძოლას სოციალისტური ქვეყნებისა და ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. იმპერიალისტთა მიზეზით დედამიწის სხვადასხვა რაიონში ხდება მწვავე საერთაშორისო კონფლიქტები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებენ თანამედროვე ვითარების სირთულეს და გაკუნულვებლივ ყურადღებას უთმობენ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას. საბჭოთა კავშირს ჰყავს მძლავრი შეიარაღებული ძალები, რომლებიც აღჭურვილი არიან პირველხარისხოვანი ტექნიკით. სამშობლოსადმი, კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა მეომრები გულმოდგინედ სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას, ეუფლებიან მრისხანე იარაღს, აძლიერებენ სიფხიზლეს და საბრძოლო მზადყოფნას. ისინი ღირსეულად ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას, ფხიზლად დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეცამეტე წლისთავს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და მის შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

□

და კვლავ მოედანზე ჭუხს მძლავრი „ვაშა“! გრიალებს საარტილერიო სალუტი. სამხედრო ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

ჯარების პარადს ტრადიციისამებრ ხსნიან ნორჩი მეფოლეები, — მოსკოვის სამხედრო-მუსიკალური სკოლის აღსაზრდელები.

მოდიან მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ლენინის ორდენოსანი, წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის, ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი, წითელდროშოვანი სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინისა და სუვოროვის ორდენოსანი სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემიის, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშალ ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის წითელდროშოვანი ქიმიური დაცვის სამხედრო აკადემიის, ი. ა. გაგარინის სახელობის წითელდროშოვანი კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენოსანი სამხედრო-საჰაერო აკადემიის, პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი სამხედრო საჰაერო საინჟინრო აკადემიის მსმენელები.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის წინ ჩაიარეს სევასტოპოლის უმაღლესი სა-

(დასასრული მე-2 გვ.).

საღღესასწაულო დარბაზობა კრემლში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 7 ნოემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართა დარბაზობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის ვეტერანები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის კომიტეტების თავმჯდომარეები, თვალსაჩინო მხედართმთავრები, ცენტრალური უწყებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, კოსმონავტი მფრინავები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვის საწარმოთა მოწინავეები, სამხედრო პარადის მონაწილენი.

აქვე იყვნენ უცხოელი სტუმრები.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტები.

შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მან თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო!

— პატივცემულო სტუმრებო!

დღეს ჩვენი სამშობლო და მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავს.

ოქტომბრის ახლანდელი წლისთავი ემთხვევა ჩვენი ხუთწლედის უკანასკნელ წელს. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის გმირული შრომა დაგვირგვინდა შესანიშნავი შედეგებით — შესრულდა სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ძაჭვენებლები, რომლებიც გათვალისწინებული იყო ჩვენი კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით.

ეს არის საბჭოთა სახელმწიფოს ყოველმხრივი განვითარების, მისი სიმძლავრისა და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ახალი საფეხური. ეს არის ახალი თვალსაჩინო ნიმანსვეტი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნებმა და პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნებმა დღეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მოახსენეს, რომ რესპუბლიკათა მშრომელები დღესასწაულს ეგებებიან კარგი პოლიტიკური განწყობილებით, შრომითი ენთუზიაზმით აღსავსენი, მაღლა უპირავთ ჩვენი კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრების დროშა.

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებებით შეეგება ოქტომბრის წლისთავს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმია — სამშობლოს საიმედო დამცველი.

დღეს წითელ მოედანზე ჩვენ ვნახეთ შეიარაღებული ძალების პარადი და მოსკოვის მშრომელთა შესანიშნავი დემონსტრაცია. მოსკოველები მოდიოდნენ მშვენიერ გუნებაზე, გაიჩვენეს ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესანიშნავი შედეგები.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სახელით ერთხელ კიდევ მივულოცო პარადის მონაწილეებს — ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებს, ზემდეგებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს ოქტომბრის დღესასწაული.

ნება მიბოძეთ აგრეთვე მივულოცო ძვირფას მოსკოველებს დღესასწაული და დიდი წარმატებანი შრომაში და ვუსურვო ყველას ჯანმრთელობა, ახალი წარმატებანი, ვუსურვო, რომ ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას.

ვულოცავთ ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, ვულოცავთ ამხანაგებს და მეგობრებს სოციალისტურ ქვეყნებში და ვუსურვებთ მათ ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის მშრომელების, დღევანდელ დარბაზობაზე მყოფი სტუმრების სადღეგრძელო, უსურვა მათ ჯანმრთელობა და წარმატებანი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას მხურვალე ტაშით შეხვდნენ. დარბაზობამ გულობილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობის მონაწილეთათვის გამართა კონცერტი. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოწინავე მშენებელთა ინიციატივის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოწინავე მშენებელთა ინიციატივა და გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებული მმართვა რესპუბლიკის სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების კოლექტივებისადმი, საშენ მასალათა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებისადმი, სამინისტროებისა და უწყებებისადმი, რომლებიც დაკავშირებული არიან სანინაო მშენებლობასთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს, „საქმონტაჟუსპეცმშენის“ სამმართველოს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტს, ამიერკავკასიის „საკლიფტის“ სამონტაჟო სამმართველოსა და მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს დაავალა დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სანინაო მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოწინავე მშენებელთა ინიციატივის მხარდასაჭერად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს დაავალა უყოველნაირად დაუჭერონ მხარი მოწინავე მშენებელთა ინიციატივას. მთელი ძალღონე მოახმარონ მიმდინარე წლის სანინაო მშენებლობის გეგმის უთუო შესრულებას.

ჩვენი რესპუბლიკის მშენებელთა წინაშე დგას პასუხსაგები ამოცანა: მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით საექსპლოატაციოდ გადასცენ 590 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. აქედან 400 ათასი კვადრატული მეტრი უნდა გადასცენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ძალებით.

გაშალეს რა სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში ხაბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს ხაექსპლოატაციოდ გადასცენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლები 25 დეკემბრისათვის, ამასთან გადაწყვეტილია ჩაბარონ ისინი ხაგარანტიო პასპორტებით, „ზარიადი“ და „კარგი“ შეფასებით.

სამინისტროს მოწინავე მშენებლებმა გამოიჩინეს მნიშვნელოვანი ინიციატივა: მათ ვალდებულება იკისრეს არა მარტო წარმატებით შეასრულონ მიმდინარე წლის პროგრამა, არამედ შექმნან საჭირო პირობები მომავალ წელს ბინების რიტმული მშენებლობისათვის. გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებულ მიმართვაში მათ რესპუბლიკის ყველა მშენებელს მოუწოდეს წლის დამლევამდე დარჩენილი თვითეული დღე დამკვრელურ დღედ გამოაცხადონ.

მიმართვაში ნათქვამია, რომ საჭიროა რაციონალურად გამოიყენონ სამუშაო დრო, ეფექტიანად გამოიყენონ ტექნიკა, მიაღწიონ ზუსტ რიტმს, თანმიმდევრობას საწარმოო ოპერაციათა შესრულებაში. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლების, მისი ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით მაქსიმალურად უნდა გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

დაე თვითეულმა მოწინავემ, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, იკისროს შეფობა ჩამორჩენილებისადმი, რათა არ იყოს არც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც ვერ ასრულებდეს ნორმებს.

მოწინავე მშენებლებმა სახლსამშენებლო კომბინატების, „საქმშენინდუსტრიის“, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მუშაკებს, მომარაგების ორგანოებს მოუწოდეს უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობანი ყველაფრით, რაც საჭიროა, ხოლო რკინიგზელებმა, ავტოტრანსპორტის მუშაკებმა „მწვანე ქუჩა“ გაუხსნან სამშენებლო ტვირთებს. (საქდესი).

ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს

(დასასრული)

მხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის კურსანტებმა.

სევასტოპოლის საინჟინრო სასწავლებლის კურსანტებს მწყობრად მოჰყვებიან შედასტრე პარაშუტისტები, შემდეგ კი მოდიან მოსკოვის წითელდროშოვანი მესაზღვრე მეთაურთა უმაღლესი სასწავლებლის კურსანტები.

და თითქოს კვლავ ზღვის ნიავმა დაუქროლა მოედანს. მოდის საზღვაო ქვეითი ჯარი.

წითელ მოედანზე შემოდიან ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი მოტომსროლელთა დივიზიის ქვეგანაყოფები. დღესასწაულის სტუმრები გულთბილად ხვდებიან მოედანზე შემოსულ მოსკოვისა და კალინინის სუოროვის სამხედრო სასწავლებლების, ლენინგრადის ნახიმოვის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტებს. მავზოლეუმს მწყობრი ნაბიჯით უახლოვდება მოსკოვის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი უმაღლესი საერთო-საჯარისო მეთაურთა სასწავლებლის კოლონა. ამ სასწავლებლის კოლონები ღირსეულად ამთავრებენ პარადის პირველ ნაწილს.

სამხედრო ორკესტრი მოედნის სიღრმეში გადადის. თავისუფლდება ადგილი მძლავრი საბრძოლო ტექნიკის მარშისათვის.

სულ უფრო ძლიერდება მოტორების გუგუნი. ჯავშანტრანსპორტიორებით მოდიან ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის წითელდროშოვანი სუოროვის ორდენოსანი მოტომსროლელი გვარდიული დივიზიის ქვეგანაყოფები. უდიდეს საერთო-საჯარისო „დვინის“ მანევრებზე გვარდიელებმა კვლავ ცხადყვეს მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობა, ის, რომ ჩინებულად ფლობენ თანამედროვე საბრძოლო ტექნიკას. მათმა მხედრულმა ოსტატობამ მაღალი შეფასება მიიღო.

ტამანელებს ცვლიან სპეციურ-სადესანტო ჯარები. „ფრთოსანი გვარდია“ — ასე უწოდებს ხალხი სიყვარულით მედესანტე მეომრებს. მათს განკარგულებაშია მძლავრი ტურბინსრახსნიანი სატრანსპორტო თვითმფრინავები და ჩინებული პარაშუტები, რომლებიც მედესანტებს საშუალებას აძლევენ გადაწყვეტონ რთული საბრძოლო ამოცანები მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით.

მარშზეა ანტეგმიროვკის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი სატანკო გვარდიული დივიზია.

„ომის ღმერთი“ უწოდეს არტილერიის ფრონტზე. იგი პარადზე წარმოდგენილია სხვადასხვა კალიბრის შორსმსროლელი ქვემეხებით. და, რა თქმა უნდა, თვითეული, ვინც მოედანზეა, ჯეროვნად აფასებს რეაქტიულ არტილერიას — ცნობილი „კატიუშების“ მემკვიდრეს.

ოცდახუთი მშვიდობიანი წლის განძილზე საბჭოთა სახელმწიფომ არაერთხელ განაახლა თავისი არმიისა და ფლოტის საბრძოლო ტექნიკა, სრულყო იგი მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე, ჩვენი არმია და ფლოტი აღჭურვილია ყველაზე სრულყოფილი იარაღით, მათ შორის სხვადასხვა დანიშნულების რაკეტებითაც.

მოედანზეა საჰაერო თავდაცვის სარაკეტო ჯარების ვერცხლისფერი დანადგარები.

მოდიან სახმელეთო ჯარების რაკეტები, მათი მთავარი საცეცხლე ძალა. კოლონას მოუძღვიან ტაქტიკური რაკეტები. ბრძოლის ველზე მათ შეუძლიათ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ მტრის დაჯგუფებებს.

მარშით მოდის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების კოლონა. მერაკეტეთა ქვეგანაყოფებმა მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობა ცხადყვეს ჯარების „დვინის“ მანევრებზე.

ტრიბუნებს ჩაუარა სამხედრო-საზღვაო ფლოტის — ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრების საიმედო გუშაგის ბალისტიკური რაკეტების კოლონამ. მისი საბრძოლო ძლიერების საფუძველს შეადგენენ ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავები.

პარადის დასასრულს წითელ მოედანზე შემოდიან სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები.

მოდიან რა წითელ მოედანზე, მერაკეტე მეომრები მთელ მსოფლიოს უჩვენებენ არა მარტო თავიანთ მრისხანე იარაღს, არამედ კიდევაც უპატაკებენ საბჭოთა ხალხს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომ მუდამ მზად არიან შეასრულონ სოციალიზმისა და კომუნიზმის მონაპოვართა დაცვის ყოველი ამოცანა.

მიწყდა საბრძოლო მანქანების გუგუნი. მთელ მოედანს მოეფინა წითელი ტალღა. ქალაქთა თოვლის ფონზე განსაკუთრებით ელვარეს ალისფერი, სადღესასწაულო მარშით მოდიან მედროშენი. „დიდ ოქტომბერს — დიდება! დიდება, დიდება!“— გასმიმის შეძახილები.

მედროშეებს მოჰყვება სადღესასწაულო კორტეჟი. მეწინავე მანქანაზე დამაგრებულია ილიჩის პორტრეტი და ლოზუნგი: „ლენინის დროშით —წინ კომუნიზმისკენ!“ მოდიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტებიანი მანქანები.

„გაუმარჯოს პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!, „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!“ — წარწერილია ტრანსპარანტებზე, რომლებიც ფიზიკულტურელებს მოაქვთ.

ცისარტყელას ფერებად ელვარებენ სპორტული დროშები.

მოდიან არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენები. „სამშობლოს დასაცავად — მზად ვართ!“ — გრიალებს წითელ მოედანზე.

ფიზიკულტურელთა რიგები გაიყო. მავზოლეუმისაკენ გაემართნენ დღესასწაულის მონაწილეები მოკავშირე რესპუბლიკების ალმებით. ხელიხელჩაკიდებულნი, ისინი სიმბოლურად გამოხატავენ სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ ძმობას.

მავზოლეუმისაკენ გარბიან ყველაზე ნორრები. ბავშვები ტრიბუნაზე ავიდნენ და ყვავილები მიართვეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

იწყება მოსკოვის მშრომელთა სადღესასწაულო მარში. მძლავრ ნაკადად მოდიან წითელ მოედანზე დედაქალაქის მოსკვა-რეკის, ლენინის, კრასნაია პრესნიას, ფრუნზეს, ძერჟინსკის, ბაუმანის, კალინინის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები.

ყოველი მოსკოველი სულითა და გულით იზიარებს დვინს, რომლითაც გამოიდნენ დემონსტრაციაზე ლენინის რაიონის მშრომელები: „ლენინი ჩვენი დროშა!“. ასი აბრეშუმის დროშით გარემოსილი ილიჩის ბარელიეფი მოაქვს კოლონას.

„მარქსიზმ-ლენინიზმი მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელების გზის მანათობელი ვარსკვლავია!“ — წარწერილია ტრანსპარანტზე. ამ იდეას გამოხატავს ფერადი ბანი: სხვადასხვა ფერისკანიანან ადამიანებს დროშასავით მოაქვთ წიგნი, რომელზეც წარწერილია: „ლენინი“.

მოდიან ქარხანა „ავტოზავოდის“ მუშები, კომბინატ „კრასნაია როზას“ ოსტატები, დედაქალაქის მეტროშენებლები... „ლენინის რაიონის მშრომელებმა 1970 წლის 21 ოქტომბრისათვის შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა“,— გვაუწყებენ პატაკის სტრიქონები. და ეს ოქტომბრის მკაფიო ნიშანია: ყველა კოლონა უპატაკებს ილიჩს, მის მიერ შექმნილ პარტიას.

ლენინისაკენ, მავზოლეუმის ტრიბუნებისაკენ მიმართულია დემონსტრანტთა მრავალათასიანი ნაკადის გული და თვალი. „ლენინურად ვისწავლოთ, ვიმუშაოთ და ვიცხოვროთ!“ — ასე გამოხატავენ ჩვენი ახალგაზრდობის მისწრაფებას მოსკოვის სასელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. ამ მოწოდების ცხოველმყოფელობისა და ძალის დადასტურებაა ლენინური კომკავშირის მთელი ისტორია.

ტრიბუნებიდან კარგად მოჩანს პროლეტარის რაიონის ემბლემა — ურო და კბილანა. მოდის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანის, ქარხანა „დინამოს“ მუშათა გვარდია.

ამაყად მოაქვთ ოქტომბრის დროშები მოედანზე ორგზის ორდენოსანი ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ მეტალურგებს.

კრეისერი „ავრორა“ და კოსმოსური რაკეტა — ასე სიმბოლურად არის გამოხატული ჩვენი ქვეყნის გმირული გზა ტრანსპარანტზე, რომელიც აღმართულია ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის კოლონის თავზე. საწარმო, სადაც არაერთხელ გამოსულა ვ. ი. ლენინი, სადაც სრულდებოდა გოელროს გეგმის უმნიშვნელოვანესი შეკვეთები, წმიდად იცავს რევოლუციურ ტრადიციებს.

მოედანზე მოდიან გაგარინისა და ფედანოვის, კიევისა და ოქტომბრის, საბჭოთა და ტუშინოს, ვოლგოგრადისა და პეროვსის, კუნცევოსა და პირველი მაისის რაიონების დემონსტრანტები.

მრავალფერი ქსოვილებით მორთულ-მოკაზმული შემოდის წითელ მოედანზე „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ საფეიერო კომბინატის მშრომელთა კოლონა. მარტო მიმდინარე წელს აქ დაამზადეს 250 ახალი ქაკარდული და მოჩითულ ნახატებიანი ქსოვილები. კომბინატის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა. ოთხ წელიწადსა და ათ თვეში ფეიერებმა გამოუშვეს 1 მილიარდ 127 მილიონი მეტრი ქსოვილები. მოსკოველთა საზეიმო საჩუქრები აუცილებლად არის საწარმოო გაერთიანება „ბოლშევიჩკას“ ნაწარმიც. შრომითი ვახტი, რომელზეც დგანან „ბოლშევიჩკას“ მუშაკები, მიმდინარეობს დვინზით: „სკკპ XXIV ყრილობის წინ თვითეული დღე დამკვრელურია!“.

ზეიმობს წითელი მოედანი. ადამიანებს სიხარულით უბრწყინავთ სახეები. მოდიან დედაქალაქის სვერდლოვის, კიროვის, კუბინკვის, ბაბუშკინის, ვორონეჟოვის, წითელი გვარდიის, ლიუბლინოს, სოკოლნიკის, ლენინგრადის, ჩერიომუშკის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები.

თითქოს ხორბლის ყანაშიაო, მოედანზე ჩნდება ოქროს თავთავები, რომლებიც მოაქვთ ტიმირიაზევის რაიონის დემონსტრანტებს. მოჩანს მომწოდებელი სტრიქონები: „განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი!“

„მეცნიერება ოქტომბრის პირმშოა!“ — მოჩანს სიტყვები. მოდიან საბჭოთა მეცნიერების შტაბის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუშაკები. მოზეიმეთა რიგებში არიან მიკრო და მაკროსამყაროთა მკვლევარები, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის თეორეტიკოსები, სამყაროს საიდუმლოებათა პირველაღმომჩენნი, თანამედროვე ტექნიკის შემოქმედნი. ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა, საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერთა გვერდით მოდის ახალგაზრდა ნიჭიერი ცვლა.

გადაშლილი წიგნების მაკეტები, კინოკადრების ფრაგმენტები, არქიტექტურულ ანსამბლთა ესკიზები — ასეთია მოსკოვის ინტელიგენციის თავისებური სავიზიტო ბარათები. სადღესასწაულო რიგებში მოაბიჯებენ მასწავლებლები, ექიმები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ოქტომბრის დღესასწაულს აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრიობა. საზღვარგარეთის ქვეყნების ასობით წარმომადგენელი ესტუმრა წითელ მოედანს 7 ნოემბერს. ლოზუნგებსა და ტრანსპარანტებში მოსკოველებმა გამოხატეს პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანის მისწრაფება მშვიდობისა და მეგობრობისადმი.

რამდენიმე საათს გაგრძელდა საზეიმო მსვლელობა წითელ მოედანზე. მშრომელთა დემონსტრაციამ მკაფიოდ დაადასტურა პარტიისა და ხალხის მონოლითური შეკავშირება, მათი მზადყოფნა — ახალი შემოქმედებითი საქმეებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას, რომელიც განსაზღვრავს კომუნიზმისაკენ ჩვენი სამშობლოს შემდგომი წინსვლის პერსპექტივებს.

* * *

დიდი ოქტომბრის 53-ე წლისთავი ფართოდ და ზეიმით აღინიშნეს ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა. (საკდესი).



მოსკოვი. 1970 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავის დღესასწაული. **სურათებზე:** ზემოთ — მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია წითელ მოედანზე; ქვემოთ — სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სვლა. (საკდესი).

1943-ის ნოემბერში...

ლიდი სამამულო ომის წლებში სახელგანთქმული მე-18 არმიის სარდლის გენერალ კონსტანტინე ლუხელიძის ოჯახური არქივის ძველი ფოტოსურათი რომ დავინახე, მეხსიერებაში მაშინვე აღმოდგა შორეული დღეები, ფრონტისპირა ზოლი, ჩემთვის ძვირფასი ადამიანები...

ეს იყო 1943 წელს, ოქტომბრის 26-ე წლისთავის წინადღეს. საბჭოთა ჯარები სულ უფრო მძლავრ დარტყმებს აყენებდნენ მტერს. უკვე განთავისუფლებული იყო ნოვოროსიისკი, გარღვეულ იქნა და აღიგავა უბადაღებული „ცისფერი ხაზი“, რომელზეც ჰიტლერელები დიდ იმედებს ამყარებდნენ; უკვე აღებული იყო ტამანი, და ჩვენი ნაწილები ქერჩის სრუტეს მიადგნენ. ამ ძლევამოსილ ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა მე-18 არმიაც. იგი შეტევაზე იყო გადასული ყუბანის პლაცდარმის დასავლეთ მიმართულებით, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ.

განწყობილება ნაწილებში სადღესასწაულოდ მხნე იყო. შეტევითმა სულისკვეთებამ მოიცვა მებრძოლები. ყოველი ახალი გამარჯვება ომის უკანასკნელ დღეს გვიახლოებდა. მაგრამ მტრის წინააღმდეგობა ჯერ კიდევ არ იყო გატეხილი. ჩვენს ჯარებს კიდევ უნდა გაევლოთ ათასობით ვერსი ცეცხლისა და სიკვდილის მიღმა...

მოახლოებული დღესასწაულის აღსანიშნავად საქართველოს მშრომელებმა გადაწყვიტეს ფრონტზე საჩუქრები გაეგზავნათ. ამ საჩუქრების გადაცემა დაავალეს დელეგაციას, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ ბარამია. გუშინდელივით მახსოვს ტელეფონის მოულოდნელი ზარი ჩემს თბილისის ბინაზე და მიხას მშვიდი ხმა:

— მოემზადე. საღამოს ფრონტზე მივდივართ...

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. მ. ცხომარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ლევან ალექსის-ძე **ყანჩაველი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1970 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თადარიგის გენერალ-მაიორ ი. დ. შაიშმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თადარიგის გენერალ-მაიორი ივანე დიმიტრის-ძე **შაიშმელაშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1970 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ნ. დ. გაგლოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ნიკოლოზ დავითის-ძე **გაგლოევი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1970 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ნ. არეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს უფროსი ამხ. არჩილ ნესტორის-ძე **არეშიძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1970 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ა. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქის ელექტრომეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველოს მთავარი ინჟინერი ამხ. ალექსანდრე აგაბოს-ძე **ცქიტიშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1970 წლის 5 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. მ. ცხომარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. მ. ხომიზურაშვილის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეგანძეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის **საქარის საცდელი სადგური** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1970 წლის 6 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ლ. ა. ყანჩაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ლევან ალექსის-ძე **ყანჩაველი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1970 წლის 6 ნოემბერი.

კონვინენციის დღესასწაული

ოქტომბრის ზეიმი უცხოეთში

სოფია. 7 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის დედაქალაქის მშრომელებმა მასობრივი დემონსტრაციებით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის დღესასწაული. გ. დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნის წინ, სადაც იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, ჩაიარეს მუშების, მოსამსახურეების, სოფლის კოოპერატორებისა და მოსწავლეების კოლონებმა.

ოქტომბრის წლისთავისადმი მიძღვნილი დემონსტრაციები გაიმართა ბულგარეთის ყველა ქალაქში.

ულან-ბატორი, 7 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მონღოლეთის დედაქალაქის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი და სადღესასწაულო დემონსტრაცია, რომლებიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 53 წლისთავს. დემონსტრანტებს მოაქვთ წითელი ალმები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები, რომლებითაც უპატაკებენ მეოთხე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის შესრულებაში მოპოვებულ შრომითს გამარჯვებებს.

სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის მავზოლეუმის ტრიბუნაზე იყვნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

ბერლინი. დიდი ოქტომბრის 53-ე წლისთავს მიეძღვნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოსა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნორდენმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა, ხაზგასმით აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

დელი. ამ დღეებში დელში, ბომბეიში, კალკუტაში, მადრასსა და ინდოეთის სხვა ქალაქებში იმართება ოქტომბრის წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები, საღამოები, სიმპოზიუმები, უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს.

ლონდონი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილმა ორმოცდაცამეტმა წელმა თვალნათლივ გვიჩვენა, რა უზარმაზარი რესურსები აქვს სოციალისტურ სისტემას, წერს ინგლისური ჟურნალი „კომენტი“. დიდი სიძნელეების, ნგრევისა და ომის მიუხედავად, წარსულში უაღრესად ჩამორჩენილი რუსეთი გადაიქცა მძლავრ, თანამედროვე სახელმწიფოდ.

პრაღა. აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო კრება, მიძღვნილი ოქტომბრის წლისთავისადმი. კრებაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბილიაკმა.

ერთ-ერთ ... ...

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მეგალეიზების, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის საქარის საცდელი სადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, საქართველოს მეგალეიზების და მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის **საქარის საცდელი სადგური** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოწოენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1970 წლის 6 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1970 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავის დღესასწაული. სურათზე: რუსთაველის პროსპექტის ცენტრალურ ტრიბუნაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ოქტომბრის ზეიმი საქართველოში

სამხედრო პარადი და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

ემოდგომის ფერადებში ალისფრად ელვარეს დიდი ოქტომბრის სადღესასწაულო მორთულობა. საერთო სიხარულს კიდევ უფრო ახალისებს რესპუბლიკის მაღალი შრომითი რიტმი, საერთო ამაღლებული განწყობილება.

ახლანდელ დღესასწაულს თავისი განუმეორებელი ნიშნები აქვს. ეს არის ლენინური იუბილეს წელი, ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის იუბილეს წინა წელი.

ყველგან—ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი შემოქმედებითი ამამავლობაა.

სადღესასწაულოდ მორთულია რუსთაველის პროსპექტი. ჩამწკრივებულან პარადისათვის გამზადებული თბილისის გარნიზონის ჯარის ქვეგანაყოფები. ყველა მეომარი ახალ საპარადო ფორმაშია. მთავრობის სახლის პირდაპირ დადგმულ ტრიბუნებზე შეკრებილან რესპუბლიკის დედაქალაქის მუშათა კოლექტივების წარმომადგენლები— კომუნისტური შრომის დამკვრელები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი, მეცნიერები, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის მოღვაწენი, გენერლები და ოფიცრები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან შ. პ. ძველაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, პ. ა. როდიონოვი, შ. ი. ბანლუყაძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, შ. დ. ამაჩნაძე, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი, ე. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ლაბახუა, ვ. მ. სირაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბ. ბუხრაშვილი.

იწყება სამხედრო პარადი. პროსპექტზე მანქანით შემოდის ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ს. ბ. კურიშკინი. მან მიიღო პარადის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ ე. ი. ბოჩკულსკის კაბალკი და მისი თანხლებით ჩამოუარა ჯარებს. გრიალებს „ვაშა“.

გენერალ-პოლკოვნიკმა ს. კ. კურკოტკინმა მიულოცა ჯარებს, ავიდა ცენტრალურ ტრიბუნაზე და სიტყვა წარმოთქვა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის სახელითა და დავალებით იგი მხურვალედ მიესალმება და ულოცავს ჯარისკაცებსა და სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს საყოველთაოსახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავს.

ამს. კურკოტკინმა ილაპარაკა საბჭოთა ხალხის წარმატებებზე, აღნიშნა ორგზის ორდენოსანი საქართველოს სს რესპუბლიკის მაღალი მაჩვენებლები ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში. ემზადებიან რა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ მომავალ XXIV ყრილობას, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50-ე წლისთავს, რესპუბლიკის მშრომელებმა კიდევ უფრო მაღლა ასწიეს სოციალისტური შეჯიბრების დროშა და სამშობლოს ახარებენ შესანიშნავი შრომითი საჩუქრებით.

სადღესასწაულო მოხსენებაში, რომ ჩვენი ქვეყანა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მტკიცედ და თანმიმდევრულად ასორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის უწყვეტი დაცვა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ოქტომბრის დიად მონაპოვართა, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის სადარაჯოზე დგანან დიდების შარავანდედით მოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები. ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს სამხრეთის საზღვრებს ამერიკავკასიის მეომრები. ოლქის ნახევარი საუკუნის იუბილეს შეხვედრისათვის მზადებასთან ერთად ისინი დაუცხრომლად იმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას, განამტკიცებენ მხედრულ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, ახალ წარმატებებს აღწევენ პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მძლავრი „ვაშა“ გაისმა, როცა სიტყვის დასასრულს გენერალ-პოლკოვნიკმა ს. კ. კურკოტკინმა თქვა: გუმარჯოს დიდი ოქტომბრის 53-ე წლისთავს, გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს, სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების საზეიმო ხმებს ბანს აძლევენ საარტილერიო სალუტის ზალპები.

გარნიზონის ჯარების ტრადიციულ მარშს იწყებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოთა ოფიცრების კოლონა. ქარი აფრიალებს საბრძოლო ალამს, რომელზეც წითელი დროშის ორდენია მიბნეული. იგი მოაქვს დიდი სამამულო ომის ვეტერანს, პოლკოვნიკ მიხეილ პავლოვს. მწყობრში არიან შესანიშნავი საბჭოთა ოფიცრები, მაღალი მხედრული კულტურის, გაბედულების, ინიციატივის ადამიანები, მეომართა უნარიანი მასწავლებლები და აღმზრდელები. სამშობლომ ანდო მათ სრულყოფილი სამხედრო ტექნიკა, იარაღი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის დასაცავად.

ტრიბუნის წინ მტკიცედ მიაბიჯებენ ავიატორები, ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შეკრულნი, ზეგბერითი სიჩქარეებისა და დიდი სიმაღლეების ჩინებული ოსტატები. მწყობრად მიდიან თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სსზელობის წითელდროშოვანი არტილერიის მეთაურთა უმაღლესი სასწავლებლის კურსანტები, სასწავლებლისა, რომელმაც ამას წინათ აღნიშნა თავისი 50-ე წლისთავი. მისი პირველი კურსდამთავრებულნი აქტიურად მონაწილეობდნენ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. ამ უძველესი სამხედრო სასწავლებლის 30-ზე მეტი კურსდამთავრებული გახდა საბჭოთა კავშირის გმირი. მწყობრში არიან უფროსი თაობის საბრძოლო დიდების მემკვიდრენი, სწავლის წარჩინებულნი გიორგაძე, უჩნაძე, ანმოვი, შილოვი, ოფიცრების შვილები ნაუმენკო, ჩილხაჩიანი, გიდენკო და სხვები.

მოდიან მესაზღვრეები, სამხრეთის საზღვრების ერთგული გუშაგები. დარსა თუ ავდარში ისინი ფხიზლად დგანან თავიანთ ვასტზე. განიერი ფოლტური ნაბიჯით, „ვარიაგის“ ჰანგებზე მოდის შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის ქვეგანაყოფი. სახსნერო პარადის ბევრი მონაწილის მკერდზე კიაფობს ლენინის საიუბილეო მედლები — ჯილდო მხედრული საქმის დაუფლებაში, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

პროსპექტზე შემოდის საბრძოლო ტექნიკა — ჯავშანტრანსპორტიორები, ყველა კალიბრის ქვემეხები მძლავრი საწევრებით, სხვადასხვა სისტემის რეაქტიული ქვემეხები. მოტოციკლებით ჩაიარეს მზვერავებმა, შემდეგ მოტომსროლელებმა, მედესანტეებმა. შთამბეჭდავი იყო რაკეტები, ჩვენი შეიარაღებული ძალების ყველაზე მრისხანე იარაღი. მერაკეტე მეომრები, ისევე როგორც საბჭოთა არმიის ყველა მეომარი, დიდი ოქტომბრის დღესასწაულს შეიგება იმით, რომ გააღიდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულთა, კლასის სპეციალისტთა, წარჩინებული ნაწილებისა და ქვეგანაყოფების რიცხვი.

მეომართა საზეიმო მარშს ამთავრებს ნაკრები ორკესტრი. და აი უკვე რუსთაველის პროსპექტზე გამოჩნდნენ ალისფერი ტალღები.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციას ხსნის ლენინის რაიონის მშრომელთა კოლონა. მათ მოაქვთ ოქტომბრის რევოლუციის ბელადის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უზარმაზარი პორტრეტი. ფრიალებს ალისფერი ალმები, მოჩანს ადამიანთა მოღიმარი სახეები. ტრანსპარანტებზე, პლაკატებზე, დიაგრამებზე წარწერილია პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებული სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ გამარჯვებათა პატაკები.

მწყობრად მოდიან ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები, მაგისტრალისა, რომლის კოლექტივმა ჯადამდე შეასრულა შვიდწლედის დავალებები. დღესასწაულის წინ მათ სასიხარულო ამბავი შეიტყეს — მესამე კვარტალში სრულიად საკავშირო შეჯიბრების მაჩვენებლებისათვის გზის კოლექტივს მიეკუთვნა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მარტო გზის თბილისის განყოფილების მოძრაობის მუშაკებმა გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 250 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. ასობით მძიმე წონის შემადგენლობა წაიყვანეს თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეებმა დ. ილურიძემ, ბ. კვერნაძემ, ბ. ჭანკვეტაძემ, ნ. მაჭავარიანმა და სხვებმა.

თავიანთი საწარმოს ემბლემით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე ელმავალმშენებლები. ლენინის სახელობის ქარხნის მძლავრი ლოკომოტივები დაკრიან-ციმბირის, ურალის ფოლადის გზებზე, ჩვენი ქვეყნის ბევრ მაგისტრალზე. აქ ყოველ საამქროში არიან ადამიანები, რომელთა დაუზარმელი ძიება, მაძიებელი აზრი, შემოქმედებითი საქმიანობა ხელს უწყობს წარმოების სრულყოფას, პროდუქციის გამოშვების გადიდებას, ზოგავს სახელმწიფო სახსრებს.

მოდის კიროვის სახელობის ქარხნის ჩარხმშენებელთა კოლონა. საწარმოს ასობით მუშა ფლობს რამდენიმე პროფესიას და ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს თავის დავალებებს. ასეთები არიან — ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. სარალიძე, ნახმარი ინსტრუმენტების აღდგენის სამსახურის ორგანიზაციიუ ინიციატორები, ამწყობი ზეინკლები, კომუნისტური შრომის დამკვრელები ლ. კორსელი, შ. ლაგრაძე, უფროსი ოსტატი ვ. სპიცინი და სხვები, რომლებიც ავლენენ და ამოქმედებენ წარმოების რეზერვებს.

საზეიმო მწყობრში მოდიან ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, ჩაის საწონი ფაბრიკის, პლასტმასის ქარხნის, ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის, მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, სხვა საწარმოთა მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურენი. პლაკატებზე გამოსახული ციფრები, მხატვრული პანოები გვიამბობენ, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს მათ წლიური დავალებებისა და ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში.

მოდიან მშენებლები. სწორედ მათი შრომითა და გარჯით იცვლიან სახეს ჩვენი ქალაქები და სოფლები. ოქტომბრის წინ მოწინავე მშენებელთა დიდმა ჯგუფმა, მათ შორის მთავართბილისმშენის № 10 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ჭელიძემ, მთავართბილისმშენის № 9 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. ჩხუტიაშვილმა, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის სახლთსაშენებლო კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა შ. მოდებაძემ და სხვებმა გამოიჩინეს პატრიოტული ინიციატივა. მათ მოუწოდეს მშენებლებს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ მიმდინარე წელს საკუსპლოატაციოდ გადასაცემი ყველა საცხოვრებელი სახლი ჩააბარონ 25 დეკემბრისათვის.

დემონსტრანტთა რიგებში ბევრია ჭაბუკი და ქალაშვილი, მოსწავლე, სტუდენტი. ისინი გუფლებიან ცოდნას, მეცნიერებას, რათა შემდეგ, ინჟინრები, ტექნიკები, პედაგოგები, ფიზიკოსები, ბიოლოგები, აგრონომები რომ გახდებიან, იშრომონ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

შრომითი აქტივობის შესანიშნავ მაგალითებს გვინვენებენ ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნებისა და სხვა საწარმოთა ახალგაზრდა მუშები. სამი ათასზე მეტი ჩვენი სტუდენტი შრომობდა ყაზახეთის მინდვრებში, ენგურჰესის, ქალაქ ტოლიატის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე, სხვა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე და შეასრულა 3.898 ათასი მანეთის სამუშაოები.

ახალგაზრდობა ფიცს დებს, რომ განაგრძობს მამა-პაპათა სახელოვან საქმეებს, ისწავლის, იშრომებს, იცხოვრებს ისე, როგორც გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, რომლის სახელს სიამაყით ატარებს კომკავშირი.

დემონსტრანტთა კოლონებს მოაქვთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. თითქოს უზარმაზარი კოლონიაო, ალისფრად ფრიალებს 53 წითელი ალამი, რომლებზეც წარწერილია ორმოცდაცამეტი გმირული წლის თარიღები, რომლებიც გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ 1917 წლის ოქტომბრიდან 1970 წლის ოქტომბრამდე.

დემონსტრანტთა შორის არიან ძველი ბოლშევიკები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილენი, მხცოვანი მეცნიერები, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ჭრიამულით მორბიან ბავშვები. თავიანთ სიმღერებში ისინი უმღერიან საყვარელ სამშობლოს, პარტიას, რომლებიც უსრუნველყოფენ მათ ბედნიერ ბავშვობას.

ზეიდიზედ — ერთმანეთის მიყოლებით ჩაიარეს პირველი მაისის, კალინინის, ოქტომბრის, კიროვის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის სახელობის რაიონების საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კოლექტივებმა. ჭეშმარიტად შესანიშნავი საქმეებით აღნიშნავს ქართველი ხალხი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. ბოლო არ უჩანს დიდი და სასახელო საქმეების შრომითს პატაკებს.

სასახელოდ შეხვდნენ დღესასწაულს სოფლის მშრომელები, რომლებიც იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაადიდონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. მათ შეასრულეს ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, მარცვლეულის, რძის, ხორცის, მატყლის დამზადების ხუთწლიანი გეგმები.

ქალაქის ბევრი საწარმოს კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ელექტრიფიკაციასა და კომპლექსურ მექანიზაციაში. პლაკატებზე წარწერილი ლაკონიური ციფრები გვიამბობენ, თუ რა გააკეთეს ამ მიმართულებით თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშაკებმა, რკინიგზელებმა, ჩარხშენებლებმა, მანქანათმშენებლებმა, მეფეხსაცმელეებმა და სხვებმა.

მეზნეებარად გაისმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი:

— მსოფლიოს ხალხებო! მტკიცედ მოითხოვეთ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ინდოჩინეთში გარბაროსული ომის შეწყვეტა, სამხრეთ ვიეტნამიდან, ლაოსიდან და კამბოჯიდან ამერიკის შეერთებული შტატების და მათი სატელიტების ჯარების მალლიანად და უპირობოდ გაყვანა!

ხელები შორს ინდოჩინეთისაგან!

— მსოფლიოს ხალხებო! მოითხოვეთ ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიის შეწყვეტა!

— არაბული ქვეყნების ხალხებო! განამტკიცეთ ერთიანობა და შეკავშირება იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა ხალხის სოლიდარობა არაბული ქვეყნების ხალხებთან!

დემონსტრანტებს მოაქვთ პლაკატები, რომლებიც ამხილებენ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმისა და მისი დამჭაშების სამარცხვინო პოლიტიკას.

ათასობით ადამიანი ეხმაურება მოწოდებას:

— გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს— ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერების ბურჯს, მშვიდობისა და პროგრესის საიმედო დასაყრდენს!

დაუვიწყარი სურათი იყო საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ქართველი ხალხი მზად არის მთელი თავისი ძალღონე, ცოდნა და შრომა მოახმაროს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

(საქდესის კორ.).

სურათებზე: თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

სოხუმი

ახალი საწარმოო მიღწევებით, უხვი შემოდგომით ხვდება მზიური აფხაზეთი ოქტომბრის დიად დღესასწაულს. ავტომობილური რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები წარმატებით ასრულებენ ხუთწლედის დავალებებს, ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს.

არაჩვეულებრივად ლამაზი იყო ამ საზეიმო დღეს ქალაქი-პარკი სოხუმი. 11 საათია. მიმზიდველად გაფორმებული კოლონები მიემართებიან ლენინის სახელობის მოედნისაკენ. ქალაქის მოსწავლეთა და მშრომელთა დემონსტრაციის ხსნის ფიზკულტურელთა ნაკრები კოლონა. შემდეგ მოედანზე შემოდიან ქალაქის მოსწავლეთა და სტუდენტთა მრავალათასიანი კოლონები.

ტრიბუნებს მხიარული სახეებით, მზნე, მტკიცე ნაბიჯით ჩაუარეს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა, რომლებსაც თან მოაქვთ მწობლიურ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ნიმუშები. ზეიმის მონაწილეთა შორის ბევრია მოწინავე მუშა, რომელმაც უკვე დიდი ხანია შეასრულა მიმდინარე ხუთწლედის პირადი დავალება და ახლა ახალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

დემონსტრაცია დამთავრდა. მაგრამ ზეიმი არ შეწყვეტილა, იგი გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

□

ბათუმი

აჭარის ასსრ მშრომელებმა ვადამდე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედი. მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სამშობლოს. მომზიბლავი სანახავია სადღესასწაულოდ მორთული აჭარის ასსრ დედაქალაქი ბათუმი. ხალხი დილიდანვე გამოეფინა ქუჩებში, ირგვლივ ილერება ხაზიმო მელოდიები.

11 საათზე იწყება საოქტომბრო პარადი. ქუჩები ივსება ალისფერი დროშებით. კოლონებს წინ მიუძღვიან მოსწავლეები, სტუდენტები, ტექნიკუმებისა და საზღვაო სასწავლებლის კურსანტები. ზეიმით მოდის მუშათა კლასი, ადამიანები, რომლებმაც ახე შეუცვალეს ქალაქს, ააშენეს ფაბრიკები და ქარხნები, სკოლები და საცხოვრებელი სახლები, სამშობლოს დიდი რაოდენობით მისცეს კატარღები და ელექტროკარები, მანქანები და ნავთობის პროდუქტები, კოფეინი და ელექტროსელსაწყოები.

ტრიბუნას ჩაუარეს საზღვაო ტრანსპორტის მუშაკებმა, რკინიგზელებმა, მედიცინისა და კულტურის მუშაკებმა, ყველა ისინი თავდადებით დგანან საიუბილეო შრომითს ვახტზე, და წარმატებით წყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

□

ცხინვალი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავი ზეიმით აღნიშნეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა. სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით შესრულდა წინასადღესასწაულო დღეებში ნაკისრი შრომითი ვალდებულებანი.

დილიდანვე საზეიმოდ გამოიყურებოდა სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრი — ცხინვალი. დღის 11 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. ტრიბუნას პირველმა ჩაუარეს პიონერთა და ახალგაზრდათა კოლონებმა, პედაგოგიური ინსტიტუტისა და სპეციალური საშუალო სასწავლებლების სტუდენტებმა. გაისმოდა საზეიმო შეძახილები.

ტრიბუნისაკენ მწყობრად მოემართება სახელოვანი სამრეწველო საწარმოს „ემალსადენის“ ქარხნის მუშათა კოლექტივი, რომელმაც წარმატებით შეასრულა მიმდინარე წლის 10 თვის საწარმოო დავალება და ახლა მთელი ენერგიით იბრძვის სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მოდიან ვიბრომანქანების ქარხნის, ხე-ტყის კომბინატის, ადგილობრივი მეურნეობის საწარმოების მუშათა კოლექტივები, კულტურის, ხელოვნების წარჩინებული ადამიანები. ყველას სახეზე ადეგენილია საზეიმო განწყობილება, მზადყოფნა იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

□

ჟუთაისი

საზეიმოდ მოირთო და მოიკაზმა რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი — სავარდო და სამაისო ქუთაისი. ქალაქის მშრომელები ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს. ქუთაისის სამრეწველო საწარმოებმა, ტრანსპორტისა და მშენებლობათა კოლექტივებმა ნაკისრ ვალდებულებაზე ორი დღით ადრე — 5 ნოემბრისათვის შეასრულეს ხუთწლედის დავალება. ახლა 32 სამრეწველო საწარმო უმზებს პროდუქციას მომავალი ხუთწლედის ანგარიშში.

დილის 10 საათზე დაიწყო სადღესასწაულო დემონსტრაცია. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით მშრომელთა კოლონებს წინ მოუძღვიან ქართული აგტომობილის მშენებლები. საავტომობილო, ელექტრომექანიკური და სატრაქტორო ქარხნების კოლექტივებს მოედანზე შემოაქვთ თავიანთი ახალი პროდუქცია — „კაზ-608 ბ-717“ მარკის ავტომატარებელის, „სმ-0611“ ტიპის სამთო ტრაქტორისა და 5-ტონიანი ელექტროტვირთამწის საცდელი ნიმუშები. მოდის ლითოფონის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ორჯერ გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო შეჯიბრებაში. ზამაყად მოაბიჯებენ ქუთაისელი ფეიერები, მეფეხსაცმელეები, მკერავები, მეავეჯები, მშენებლები და სხვა საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც სამშობლოს ვადაზე ადრე უპატაკეს ხუთწლედის დავალებათა შესრულება.

სამ საათს ვასტანა ქუთაისის მშრომელთა საოქტომბრო დემონსტრაციამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 90 ათასამდე მშრომელმა.

□

რუსთავი

ინდუსტრიული რუსთავის მშრომელები მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეეგებნენ ოქტომბრის დღესასწაულს. ქართველმა მეტალურგებმა დღესასწაულის წინ უპატაკეს სამშობლოს, რომ გადაჭარბებით შეასრულეს როგორც ოქტომბრის, ისე პროდუქციის რეალიზაციის 10 თვის სახელმწიფო დავალება. ქვეყანამ მიიღო რუსთავის მარკის ძვირფასი პროდუქცია თუჯი, ფოლადი, მილები, ლითონის ფურცლები, კოქსი...

და აი მეტალურგებმა ტრადიციის მიხედვით პირველმა ჩაუარეს ტრიბუნას. ტრანსპარანტებზე, ლოზუნგებზე ასახულია ის წარმატებები, რაც მოპოვებულია სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილესათვის მზადების დღეებში.

ხელდამშვენებულნი მოვიდნენ ოქტომბრის დღესასწაულზე სახელოვანი რუსთაველი მეცამენტეები, ქიმიკოსები და სხვა საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც წარმატებით შეხვდნენ ოქტომბრის დღესასწაულს.

ქუჩებში, პარკებსა და ხეივნებში დიდხანს არ შეწყვეტილა მშრომელთა ზეიმი.



სურათებზე: თბილისის გარნიზონის ჯარები და რაკეტული ტექნიკა რუსთაველის პროსპექტზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲠᲐᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ მოვიდა დღესასწაულის წინ — მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში დამსახურებისათვის და მეცნიერული კვლევის განვითარებაში მოპოვებული მიღწევებისათვის ცოდნის ნათელი ტაძარი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ზეიმობს ყველა, ვინც უნივერსიტეტს თავისად თვლის, ვინც მის თეთრ, ნათელ კედლებში სიბრძნეს ეზიარა, ვინც საკუთარი მხრებით ზიდა მისი დაარსებისა და აღორძინების ფრიად საპატიო ტვირთი, ვინც ახლახან მოწიწებით გადაბიჯა მის ზღურბლს და სახალხო ესტაფეტა ჩაიბარა.

თბილისის უნივერსიტეტი პირველი სასწავლებელი იყო, რომელმაც ჩვენში ეროვნულ ნიადაგზე მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა უმაღლეს განათლებას, ააღორძინა წარსულის მდიდარი ტრადიციები და ამტომაც იქცა ნამდვილი მეცნიერული შემოქმედებითი აზრის აკვნად.

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული მეცნიერების ტაძარს დაარსების 50 წელი შუბრულდა. ყველას გვახსოვს, რომ ეს თარიღი ჩვენი ერის დღესასწაული, მისი მეცნიერებისა და კულტურის ჭეშმარიტად დიადი დღესასწაული იყო.

თავისი არსებობის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტმა განვითარების ნაყოფიერი და სახელოვანი გზა განვლო. მან ქვეყანას 40 ათასამდე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მისცა. მის კედლებში აღზრდილთა შორის ბევრი გამოჩენილი ადამიანია, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის კულტურული აღორძინების კერაში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამუშავდა ბევრი ისეთი პრობლემა, რომელიც კაცობრიობის შენაძენს წარმოადგენს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს დიდი სიყვარული. ეს ხომ უაღრესად ძვირფასი საზღაურია ამ ორი საშვილიშვილო საქმისა, რასაც ის ემსახურება და რაც ასე ნათლად, მკაფიოდ არის აღნიშნული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებაში.

უნივერსიტეტის სიმდიდრეს ახალგაზრდები შეადგენენ. მას ათასობით წარჩინებული სტუდენტი, ასობით ასპირანტი და ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი ჰყავს. სტუდენტის ყოველმხრივ აღზრდისათვის ზრუნავა უნივერსიტეტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მისი 15 ფაკულტეტი, 100-ზე მეტი კათედრა, რომლებზეც 200-მდე პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, 600-მდე დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობს. ფასდაუდებელია სტუდენტთა აღზრდისათვის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ამაგი.

ცოდნის თეთრ ტაძარში მეცნიერებათა საფუძვლებს ახლა 15 ათასზე მეტი ახალგაზრდა ეუფლება, აქ მათ სწავლისა და შრომის საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი. სტუდენტთა განკარგულებაში გადაეცა უნივერსიტეტის ახალი კორპუსის 14-სართულიანი შენობა. მომავალი წლიდან დაიწყება უნივერსიტეტის კომპლექსის ახალი ობიექტების აშენება. შენდება, მშენდება, მხრებს შლის ერის სიამაყე ორდენსანი უნივერსიტეტი.

ამ საქვეყნოდ ცნობილი უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიტინგი, რომელიც ამ დღეებში უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ. მანვე გააცნო საზეიმო მიტინგის მონაწილეებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უნივერსიტეტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ი. ვეკუამ მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის და აღუთქვა, რომ უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი ენერგიის დაუზოგავად იშრომებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

უნივერსიტეტის კოლეტივს დიდი ჯილდო გულთბილად მიუღია საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. კუპრაძემ, უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ქ. სიხარულიძემ და სტუდენტმა, ლენინურმა სტიპენდიანტმა ნ. ლეკიშვილმა.

მიტინგზე წაკითხულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ამხ. ვ. ელიუტინის მისასალმებელი დეპეშა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს ტექსტი დეპეშებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი. დეპეშებში გამოთქმულია უსაზღვრო მადლობა მაღალი ჯილდოსათვის. მათში უნივერსიტეტის კოლექტივი აღუთქვამს პარტიასა და მთავრობას, რომ ძალღონეს არ დაიშურებს, რათა მომავალშიც გაამართლოს ეს მაღალი ჯილდო.

ᲑᲔᲚᲐ ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, უფროსებსაც და უმცროსებსაც, საერთო სიხარული აღბეჭდია სახეზე. საზეიმო მიტინგის შემდეგ უნივერსიტეტის ეზოში კვლავ მისი ნათელი კედლების სადიდებელს ამბობენ. სურათზე: პირველ რიგში (მარცხნიდან) ა. შანიძე, ი. ვეკუა, ვ. კუპრაძე, შ. ამირანაშვილი.

ფოტო ᲕᲚ. ᲑᲘᲜᲬᲣᲜᲬᲠᲘᲡᲐ და Ბ. ᲑᲝᲒᲝᲡᲘᲐᲜᲘᲡ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ მკითხველებმა გაზეთის გუშინდელი ნომრიდან უკვე შეიტყეს 1970 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა სახელები. ლენინის საიუბილეო წელს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატებს შორის არიან საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები, ცნობილი ოსტატები, რომელთა შესანიშნავმა მიღწევებმა გაამდიდრა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის საგანძური. ახალ ლაურეატთა რიცხვშია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.** ამ სასიხარულო ამბავთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, საკავშირო სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს **ᲖᲣᲩᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ.**

— უწინარეს ყოვლისა, — თქვა უჩა ჯაფარიძემ, — თავს ნებას მივცემ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის სახელით მივულოცო ეს დიდი და დამსახურებული ჯილდო ზურაბ წერეთელს, საუკეთესო ხელოვანსა და მოქალაქეს, თანამედროვე საბჭოთა მონუმენტური ხელოვნების ოსტატთა ერთ-ერთ მკაფიო და თვალსაჩინო წარმომადგენელს.

ზურაბის გამარჯვება მე ორმაგად მახარებს. მახარებს და მეამაყება როგორც მის ყოფილ მასწავლებელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ამასთანავე მახარებს როგორც დიდი წარმატება ქართველი ხელოვანისა, ჩვენი, ქართველი მხატვრების, ღირსეული კოლეგისა.

ზურაბ წერეთლის დიდებული მოზაიკური კომპოზიციები თბილისსა და ლენინის მშობლიურ ქალაქ ულიანოვსკში, რომლებისთვისაც ქართველ მხატვარს სახელმწიფო პრემია მიენიჭა, აგრეთვე შესანიშნავი მოზაიკური პანოები ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის ტერიტორიაზე, შექმნილი ფერადი ქვებისა და მოელვარე სმალთისაგან, მნახველებს ახარებს და იპყრობს თავისი საზეიმო განწყობილებით, მონუმენტურობით, ულამაზეს ფერთა სიუხვით...

ცნობილია, რომ მოზაიკური ხელოვნება საქართველოში უძველესია. წარსულში მას დიდი ტრადიციები ჰქონდა. დღესაც აღფრთოვანებას იწვევს გელათის, წრომის, ძველი ბიჭვინთის მოზაიკა. ზურაბ წერეთელი ამ უძველესი ეროვნული ხელოვნების თვალსაჩინო თანამედროვე წარმომადგენელია და თავის ხელოვნებით ღირსეული წვლილი შეაქვს მის აღორძინება-განახლებაში. ამიტომაც გვახარებს მისი ახალი წარმატება. ამიტომაც მთელი გულით ვუღოცავთ მას დიდ ჯილდოს და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებითს მიღწევებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ზ. წერეთელი; მოზაიკური პანო პროფკავშირის სასახლის შენობაზე, რომელიც შენდება თბილისში ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.

ფოტო ბ. ᲠᲘᲜᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ. (საქდისის ფოტოქრონიკა).

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲘᲥᲢᲝᲠᲘ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ
ᲛᲘᲗᲘᲜᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ,
ᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ —
ᲐᲚᲐᲒᲐ — ᲜᲐᲠᲜᲘᲫᲘ,
ᲐᲚᲐᲒᲐ — ᲐᲗᲐᲡ
ᲘᲐᲗᲐ ᲫᲝᲜᲐ,
ᲐᲚᲐᲒᲐ ᲨᲣᲠᲛᲣᲢᲘᲡᲗᲘᲡ,
ᲛᲭᲘᲠᲝᲡ, ᲚᲐᲚᲘᲡ
ᲤᲐᲠᲗᲐᲗᲐ ᲙᲐᲛᲙᲐᲨᲘ...
ᲮᲐ ᲗᲕᲘᲗᲘᲡᲣᲚᲘ —
ᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲭᲘᲐᲙᲝᲜᲐ.
ᲑᲐᲓᲔ-ᲕᲘᲜᲐᲮᲔᲑᲘ
ᲓᲐᲛᲐᲨᲕᲠᲐᲚᲘ,
ᲜᲐᲐᲛᲐᲒᲐᲠᲘ —
ᲛᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲚᲘᲕᲘᲜᲘ,
ᲖᲔᲓᲐᲕᲓ ᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚ
ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲘᲡ ᲬᲝᲜᲐ.
ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲗᲘ —
ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲗᲘᲡᲣᲚᲘ
ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲓᲐᲠᲘ...
ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲗ ᲛᲝᲚᲘᲗᲘᲡ
ᲪᲮᲠᲐᲗᲕᲐᲚᲐ ᲛᲖᲘᲡ
ᲓᲠᲝᲗᲐᲡ ᲤᲠᲗᲝᲜᲐ.
ᲭᲣᲠᲩᲔᲑᲨᲘ ᲚᲐᲠᲐᲓ,
ᲛᲬᲕᲐᲠᲐᲓ ᲛᲡᲒᲚᲔᲚᲘ
ᲓᲐᲡᲗᲐ ᲓᲐᲡᲘᲔᲑᲘ —
ᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲒᲚᲔᲮᲜᲘ,
ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲜᲘ,
ᲛᲘᲠᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ,
ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲡᲪᲘᲚᲔᲗ
ᲕᲐᲠᲓᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ
ᲚᲝᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲑᲐᲝᲗᲐ ᲑᲐᲚᲚᲔᲑᲘ —
ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ
ᲑᲘᲠᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ.
ᲝᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲠᲓᲐᲒ
ᲐᲛ ᲜᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲡ
ᲓᲐᲕᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲐᲡ,
ᲛᲔᲤᲘᲝᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲘ
ᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗᲘ,
ᲑᲐᲗᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲒᲝᲜᲔᲑᲡ,
ᲣᲛᲘᲜᲓᲔᲡ ᲡᲣᲚᲡ
ᲓᲐ ᲒᲐᲮᲐᲪᲘᲚᲔᲑᲡ...
ᲓᲘᲓᲐᲓ ᲛᲭᲘᲠᲕᲐᲚᲔᲑᲡ
ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲗ
ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲗ!

ᲕᲐᲚᲖᲐ ᲒᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲒᲐᲖᲗᲘ „იზვესტიის“ 1970 წლის 5 ნოემბრის ნომერში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაქვეყნა აკადემიის ნამდვილ წევრად და აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ასარჩევ კანდიდატთა სია. მასში ჩვენი თანამემამულენიც არიან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ასარჩევ კანდიდატთა შორის დასახელებული არიან: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანდრია ვასილის-ძე ბიწაძე (მათემატიკის განყოფილება), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თეოფანე ფარნას-ძე დავითაია (ოკეანოლოგიის, ატმოსფეროს ფიზიკისა და გეოგრაფიის განყოფილება), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შალვა იასონის-ძე ამირანაშვილი (ისტორიის განყოფილება), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვიქტორ მიხეილის-ძე ჩხიკვაძე (ფილოსოფიისა და სამართლის განყოფილება).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ასარჩევ კანდიდატთა შორის დასახელებული არიან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რევაზ ვალერიანის-ძე გამყრელიძე (მათემატიკის განყოფილება), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალბერტ ნიკოლოზის-ძე თავხელიძე (ბირთვული ფიზიკის განყოფილება), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი გრიგოლის-ძე გვერდწითელი (ფიზიკა-ენერგეტიკის ტექნიკურ პრობლემათა განყოფილება), ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი ჯერმენ მიხეილის-ძე გვიშიანი (ფილოსოფიისა და სამართლის განყოფილება), ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ავგუსტის-ძე მთაფიშვილი (ეკონომიკის განყოფილება).

ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲐᲡ

ᲓᲝᲜᲘᲡ როსტოვში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ფილმების მეორე სრულიად საკავშირო ფესტივალი. საბჭოთა კავშირის 28 კინოსტუდიამ ყიურის წარუდგინა სასოფლო-სამეურნეო თემატიკაზე შექმნილი ასამდე ფილმი.

ფესტივალის მთავარი პრიზები „საუკეთესო ფილმისათვის“ და „სასოფლო-სამეურნეო თემატიკაზე საერთო ეკრანის საუკეთესო ფილმისათვის“ მიიღეს დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის კინოსურათმა: „ლენინური გეგმით“ და კინოსტუდია „ბელორუსული ფილმის“ სურათმა „ცხოვრების ქარცეცხლში“.

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიამ დიპლომმბი მიიღო შემდეგი ფილმების შექმნისათვის: „სოფლის ბედი“, „ტმძინკაშის მრთი დღე“ და „ᲨᲐᲠᲙᲘᲗᲘᲚᲘᲡ საბჭოთა მეურნეობა“. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომები და მედლები დაიმსახურა ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობამ ფილმის შექმნაში მონაწილეობისათვის. (საქდისი).

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲮᲕᲐᲚ გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ორი მატჩი ფიზბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

თავის მნიშვნელობით ამ ორი შეხვედრიდან ყურადღების ცენტრშია მოსკოვის მატჩი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ბაქოს „ნეფტჩის“ გუნდებს შორის. თუ ბაქოელთათვის მის შედეგს ორსებითი მნიშვნელობა არა აქვს, არმიელი ფიზბურთელებისათვის იგი გადამწყვეტია — დამარცხების ან თუნდაც მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ისინი ჩაოლიბულნი იქნებიან ჩემპიონის მედლებით დაჯილდოებულ გუნდებს შორის. გამარჯვების შემთხვევაში 40 მოსკოვის „დინამო“ და ცსკა აგროვებენ 45-45 ქულას. მაშინ ჩემპიონის გამოსავლინებლად საჭიროა ამ გუნდების დამატებითი მატჩი. სად ან როდის შედგება ასეთი თამაში, თუ იგი საჭიროა გახდა, გაურკვეველია, რადგან მოსკოვის დინამოელები ტურნირისათვის საზღვარგარეთ მიემგზავრებიან.

მეორე მატჩი კი შედგება თბილისში, სადაც ერმანეთს ხვდებიან ადგილობრივი დინამოელები, რომლებმაც უკვე გაინადგურეს მეოთხე ადგილი, და ერევნის „არარატი“.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲝᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘ ᲓᲐ Ა. ᲨᲛᲘᲢᲘ—ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში ვაჟთათვის.

უკანასკნელ მეოთხე ტურში ოდესელმა ოსტატმა ლ. ალბურტმა დაამარცხა ოსტატი ა. შმიტი (რიგა).

მოსკოველი გროსმაისტერის დ. ბრონშტეინისა და ხარკოველი საერთაშორისო ოსტატის ვ. სავონის მეოთხე პარტიაც ყაიმით დამთავრდა და ანგარიში 2:2 გახდა. მეორე ფინალისტის გამოსავლინებლად დ. ბრონშტეინსა და ვ. სავონს შორის გაიმართა მესუთე პარტია. ვ. სავონმა უარეს პოზიციაში დაუშვა უხეში შეცდომა, დაკარგა ლაზიერი და 24-ე სვლაზე დანებდა.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან დ. ბრონშტეინი და ა. შმიტი. წილისყრით პირველ ტურში, რომელიც დღეს დაიწყება, თეთრებით ითამაშებს ა. შმიტი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲒᲐᲖᲗᲘ „იზვესტიის“ 1970 წლის 5 ნოემბრის ნომერში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაქვეყნა აკადემიის ნამდვილ წევრად და აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ასარჩევ კანდიდატთა სია. მასში ჩვენი თანამემამულენიც არიან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ასარჩევ კანდიდატთა შორის დასახელებული არიან: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანდრია ვასილის-ძე ბიწაძე (მათემატიკის განყოფილება), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თეოფანე ფარნას-ძე დავითაია (ოკეანოლოგიის, ატმოსფეროს ფიზიკისა და გეოგრაფიის განყოფილება), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შალვა იასონის-ძე ამირანაშვილი (ისტორიის განყოფილება), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვიქტორ მიხეილის-ძე ჩხიკვაძე (ფილოსოფიისა და სამართლის განყოფილება).

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

„ᲐᲐ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ პირველ ჯგუფში ფიზბურთელთა სამმა გუნდმა — ლვოვის „კარპატმა“, ალმა-ატის „ჰორატმა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ მოაგროვეს 61-61 ქულა. მაგრამ „კარპატს“ კიდევ ერთი თამაში დარჩა გასამართავი ყარაგანდის „შახტიორთან“, რაც 8 ნოემბერს გაიმართება.

ᲓᲚᲔᲡ პალმა დე მაიორკაში (ესპანეთი) გაიხსნება მსოფლიო ჩემპიონატის საზონთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებენ გროსმაისტერები ვ. სმისლოვი, ე. გელერი, ლ. პოლუგაევსკი და მ. ტალინოვი.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეორე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. ბათუმის „დინამომ“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა ტაგანროგის „ტორპედო“ 1:0, გორის „დილამ“ — სტავროპოლის „დინამო“ 2:0.

სიმფეროპოლში დაიწყო იუნიორთა გუნდების ფინალური ტურნირი ფიზბურთში „იმედის თასზე“. პირველ ტურში უკრაინელებმა დაამარცხეს ბელორუსიის გუნდი 3:0, ხოლო საქართველოსა და რსფსრ-ის ფიზბურთელებმა თანაბარი ანგარიშით (1:0) მოუგეს სომხეთისა და მოლდავეთის გუნდებს.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ᲠᲘᲒᲐ)

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ „Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ �გᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

(უმაღლესი ჯგუფი)

9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — „ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ (ძირითადი შემადგენლობანი).

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

(სათადარიგო შემადგენლობანი)

დასაწყისი 16 საათზე.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა აბონემენტებზე 8 ნოემბერს 12-დან 19 საათამდე, საერთო გაყიდვა 9 ნოემბერს დილის 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

10.05 — კინონარკვევი, 10.15 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ქართული მხატვრული ფილმი — „მაგდანას ლურჯა“, 12.10 — კინონარკვევი, 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „ჩემი ქვეყანა“, 14.00 — „სოფლის მშრომელები“ — საზეიმო რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. „მულტიპანორამა“. 2. კინოდარბაზი — ქართული მხატვრული ფილმი — „შეხვედრა თბილისში“, 17.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — წითელწყაროს რაიონი, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.05 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. მინიატიურების სატელევიზიო თეატრი — „13 სკამი“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „კინოგვირანი“ — სატელევიზიო ჟურნალი, 21.00 — კინონარკვევი, 21.15 „რიტმები და მელოდიები“ — საზეიმო კონცერტი, 22.15 — მხატვრული ფილმი — „საბჭოთა კავშირის ელჩი“.

9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

17.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკიდან, 18.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — სპორტული პროგრამა, 20.15 — „საბჭოთა საქართველო — 50“ — „დიადი წლების ქრონიკა“ — 1931 წელი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „შეხვედრა“. 21.50 — მხატვრული ფილმი — „ევგენი ურბანსკი“, 23.00 — კონცერტი — „მღერის მადრიგალი“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სანამ ურემი გადაბრუნდება; **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — შუშის სამხეცე; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — წმინდანები ჯოჯოხეთში (დღისით), მთვარის მოტაცება (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — მასკარადი (დღისით), ადგილი დაუთმე ხვალინდელ დღეს (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — გაბზარული ფირფიტა (დღისით), მეცხრე ტალღა (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დაკარგული დრო (№ 7 აბონ. დილის 10 ს., № 56 აბონ. 1 ს.), კიკვიძე (№ 35 აბონ. 5 ს. და 30 წ.).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲖᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 7 ნოემბერი. (საქდისი). დიდი ბრიტანეთის „კომპარტიის აქტიური მოღვაწე ჯორج ენტონი არჩიულია მანქანათაშენებელი მრეწველობის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის გაწყოფილების თავმჯდომარედ ლონდონის ჩრდილოეთ რაიონში. ენტონმ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ორმა სხვა კანდიდატმა ერთად, რომელთაგან ერთერთს ეს პოსტი დღემდე ეკავა.

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 6 ნოემბერი. (საქდისი). საიგონის მარიონეტული ჯარების 6 ათასმა ჯარისკაცმა დღეს გადალახა კამბოჯის საზღვარი ლერწმის ველის მახლობლად. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება საიგონიდან, ახალ ოპერაციაში მონაწილეობს სამხრეთვიეტნამელ ჯარისკაცთა რამდენიმე ბატალიონი.

ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲰᲐᲜᲝᲘ. 6 ნოემბერი. (საქდისი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და იტალიის მთავრობამ გადაწყვიტეს ამა წლის 6 ნოემბრიდან დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა და სამი თვის განმავლობაში გაცვალონ ელჩები, იუწყება სინხუას სააგენტო.

როგორც აღნიშნულია ჩინეთ-იტალიის ერთობლივ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ ტაივანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია. იტალიის მთავრობამ მხედველობაში მიიღო ჩინეთის მთავრობის ეს პოზიცია და განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მიაჩნია ჩინეთის ერთადერთ კანონიერ მთავრობად.

ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘ